


# ახალგაზრდა ივრელი

ხუთშაბათი,  
29 მარტი,  
1990 წ.  
№ 34 (11540)



ფანი 3 კაპ

## ხველ იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი



ფანბურთში

**მწიფობის გზას გისურვებთ,**

**სურვირულს ჩემპიონატში**

„სოიუზბენატის“ ჯიხურებში შეგიძლიათ იყიდოთ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სტარტისადმი მიძღვნილი გაზეთი „ფეხბურთი“.

გაზეთში თქვენთვის საინტერესო არაერთ მასალას გაეცნობით.

**იცაარათ, იყიდეთ „ფანბურთი“!**

### მეგობრებო!

ალბათ მოგეწონათ პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზე დასასწრები ბილეთი. მას თქვენ შეიძენთ დღეიდან სტადიონის სალაროებში.

ისევე, როგორც თვით ეროვნული ჩემპიონატისა, ამ ბილეთის იდეაც ეკუთვნის კინორეჟისორ ალექსანდრე ჟღენტს...

ეს შინადასწერი ბილეთი რომ დაბეჭდილიყო, თავდაღებით იშრომა თბილისის № 5 სტამბის საბილეთო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც სათავეში უდგას ქალბატონი მაგული ქართველიშვილი. ეროვნული სტადიონის დირექტორის ბატონ ვაჟა ფლენტის თხოვნას გულისყურით მოეკიდა სტამბის დირექტორი გურამ მღებრიშვილი.

ბილეთის დაბეჭდვაზე იშრომეს:

**ლალი ბერიკაშვილი, ნელი ჯანგველაძე, ირმა პაპაშვილი, ანა ბობილევა, ზაირა ზვედელიძე, არტაშა საღირაშვილი, ციცო ბაბლიძე, გერასიმე ხაჭაპურიძე, ივოლდა გაჩეჩილაძე, ნათელა თვაურმა, ლიანა ბერუაშვილი, მარინა გორგაძე, ციალა გიორგაძე, ზეინაბ ჭალაშვილი, თამარ ჭიმერიძე, ზოია ნემსიწვერიძე, ნათია ჯანელიძე, კოლია სისოევა.** ქართველ გულშემატკივართა სახელით დიდი მადლობა უყვლას, ვინც ეს ლამაზი საქმე გააყეთა.

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**  
ბილეთები პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნას!

იარუსი	სიმბოლო	ფანბურთში	სტადიონი
სამბორი	ფანბურთში	ფანი 2 მან.	50 კაპ.
რიბი	ფანბურთში	ამ ბილეთის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს სპორტულ მატჩს მატჩის პირველ ნახევარში.	სტადიონი
აღვიწერი	ფანბურთში		ს. შ. მ. მ. მ. მ.

# ბოლო ყრილობა?

უკანასკნელად საქართველოს კომკავშირის განუცხადეს, რეპუბლიკის ახალგაზრდათა ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა თავის მომავალ ყრილობაზე თავი დაშლილად უნდა გამოაცხადოს. ეს იყო 15 მარტს, საქართველოს ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციაზე. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ასეთი მკაცრი გაფრთხილება დღევანდელ საქართველოში ნებისმიერს ჩააფიქრებს და მით უფრო საქართველოს კომკავშირს.

სხვათა შორის, ადრე არაფორმალების მისამართით გამოთქმული ასეთი „სურვილები“ აღმფრთხილების ნიუჯინს იწვევდა, ეს დემოკრატიის ხელყოფად ითვლებოდა. ანლა როგორღა?

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ყრილობა შედგა და კომკავშირი ჩერდება რადიკალურ პერსონაჟად რჩება საზოგადოებრივი ცხოვრების სცენაზე, თუმცა ქართულ პოლიტიკურ მრავალმხრივობაში მისთვის ადგილი აღარ დარჩა.

ორგანიზაცია სტეფანია და ყვივის თანხლებით ისტუმრებს ვალეს: ახალგაზრდებმა, ვინც კვლავ კომკავშირზე ამყარებს იმედს, თავისი წინამორბედებისაგან განსხვავებით, ბოლომდე შეესიეს სამსალს: „გუშინ გაიმართა საქართველოს კომკავშირის ბოლო (ომეგრამა ჩნას) ყრილობა“ — ამ სიტყვებით სხნის მორიგ ნომერს ახალგაზრდადული „ომგრამის“ კავშირით „მანსა“ — სხვათა შორის, თავიდან კომკავშირის პირიშო. ის კი არა და თვით მშობლიურმა ორგანომ — განხეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“ არ დააყვანა კუმბოსთვის ლურსმნის ჩაქვლები... ყრილობის დღეს გახეთმა „ფორმა“ შეიცვალა — ამიერიდან ის „ახალგაზრდა იმპერიულია“. მოვლენებს წინ გაუფრთხილდა ვიტყვით, რომ ყრილობამ დაამტკიცა გახეთის ახალი სახელწოდება.

აი, ასეთი განწყობილებით შეუდგა ყრილობა მუშაობს. მუშაობის მონანი ტონში იქნა მოთხოვნილი ორგანიზაციის თითქმის სამოცდაათწლიანი ისტორია, რომლის ლოგოკურ დასასრულად, საანგარიშო მოსწიების მიხედვით თუ ექსტრემული, მისი კრახი იქცა. ზოგიერთების მხიარული სახეები გვარწმუნებდნენ, რომ ბევრი კომკავშირული ფუნქციონერისთვისაც არ წარმოადგენდა იდეალსა-მუშაობის მოვლენას მისი მშობლიური ორგანიზაციის მომავალი, ხომ ითქვა: „რომელ ორგანიზაცია-

ზე ვლავარაკობთ? საქართველოს კომკავშირის 640 წევრი? — ეკვივ არაა, ეს მითია. მთაწმინდის (ყოფილი კალინინის) რაიკომის პირველმა მდივანმა ლევან ჩიკვათიძემ ციფრები მოიყვანა: გასული წლის დასაწყისში რაიკომში აღრიცხვებზე იდგა 11 ათასი კაცი, წელს — 60 ათასი. საჭიროებს კი მხოლოდ 2 ათასი თხილი, თანაც, როგორც აღმოჩნდა, — გადაიტეხით. და თვით რეპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გივი გუმბარიძის გამოსვლაც არ გავდა უფროსი თანაპარტიული მეგობრის საუბარს, ის უფრო ახალგაზრდაბისადმი რეპუბლიკის მეთაურის მიმართება იყო.

ემოციები და ლევა დელეგატების გრგობა წილად.

— ეს ჩემი ვეათე ყრილობაა, — საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის დირექტორის მზია კანტურის ხმაში დაბნეულობა იგრძობა, — მაგრამ ასე არასოდეს ავლევდებოდა. ყველაფერს, რაც ამ წლებში მანძილზე გავიკეთებია, ხაზი გადავიყვანე... საწყენია, ჩემი აღზნობიანი, თავის დაყვავი კი არ შეგვიძლია. მე კი მეჩვენება, რომ ჩემს თაობას კუდი არაფერი გაუკითხია. თუ მაინც იყვნენ ჩემს შორის კორუმპირებულები, კარიერისტები, ჩემ მათ მაშინაც ვკარგობდით და ახლაც ვკარგობთ. გვქონდა შეცდომები, მაგრამ ისინი ყველას აქვს. არც ოპოზიციამ შეცდომებისაგან დაზოგვეული უნდა იარსებოს მათ და უნდა ვიარსებოთ ჩვენ... ისტორია განსჯის...

მაგრამ კომკავშირს დამცველებიც აღმოჩნდა. თუმცა, როგორც საბურჯინიანი გაირკვა, მათ კომკავშირის დაცვა იდრის გამო როლი დაუაწყვეტეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვიყვართ, ყველაფერი, რაც კომკავშირს, პარტიას ემართება, ამბობდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დედაგაყვინების წარმომადგენლები. მაგრამ ისეთი სიტუაცია შექმნილი, რომ რეპუბლიკური ორგანიზაციის დაშლის შემთხვევაში ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი არ დაემორჩილება ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ერთგულნი ნიშნის მიხედვით ანხეთილების საშინლობა ბევრმა ცხადდა იგრძნო. ამაზე გულახდილად ლაპარაკობდნენ და ამიტომაც განაცხადდა, მავალითად სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ჩოკიამ ტე-

ლევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში, რომ რეპუბლიკური ორგანიზაციის გადაჩინა სურს.

არაან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ საქართველოს კომკავშირში ერთგული ნიშნის მიხედვით განხეთქილების საშინლობა საერთოდ არ შეიძლება არსებობდეს, ახალგაზრდადული ორგანიზაციის „მამული“ თავმჯდომარის ლ. კიკაბიძის აზრით, ერთგული კომკავშირი — ეს ნიშნისაა. კომკავშირი კონსოლიდირებით საზრდობს, განაცხადამან, — შეიძლება ვილაპარაკოთ ალკის შენარჩუნებაზე, მაგრამ არა ერთგული ორგანიზაციის შექმნაზე.

ჩემი კიდევ ვოლანდმა შენიშნა, რომ შეიძლება სხვადასხვა ენაზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ამით იმ ნივთების არსი, რომლებზეც ვლავარაკობთ, არ იცვლება. არსი კი ისაა, რომ დამოსის პროცესში გამომჯდნულად არა მარტო — არა იმდენად ერთგულებით მორისი, რამდენადაც აურაცხელი მსოფლმზღველობრივი, სამეურნეო საპარტიულური და ბიუროკრატიული წინააღმდეგობები. როგორც ჩანს, წინააღმდეგობებიც დარჩა.

ყრილობაზე სულ უფრო ხშირად გაიმბდა — „გადავდით“. და აი, მაშინ წამოდგა ქუთაისელი დეპუტატი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა, ყველას რომ აწყობდა — „თვითგამოკვება“. რა თქმა უნდა, თქვა მან, კომკავშირმა დღეისათვის სახით არ უნდა იარსებოს. მაგრამ ყრილობას არა აქვს თვითიყვირის საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება. თითოეული კომკავშირის უნდა მიეცეთ თვითგამოკვების დრო და საშუალება.

ყრილობის ოფიციალური დახურვა ჩვენ არ გვიანაბს. მოულოდნელმა ცნობამ მოგვიწყო — არაფორმალების რეპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობა დაიკავეს. ყრილობის პრეზიდიუმი და დელეგატების პარტი ნაწილი სასწრაფოდ გაემართა შემთხვევის ადგილისაკენ.

მაჩაბლოს ქუჩაზე მდებარე მუშაო სახლი, რომელიც თბილისელითათვის არა მარტო საქართველოს კომკავშირის შტაბად, ლ. ბ. ბერიას ყოფილი რეზიდენციადაც არის ცნობილი, ერთი შეხედვით, ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს. თუმცა იქ, შიგნით, სხვა ადამიანები არიან. მესამე საართულზე, მომცრო დარბაზში რამდენიმე ათეული ახალგაზრდა შეკრებილა. რამდენიმე მათგანი გვერდით

მოგვიცადა და აგვიხსენს, რომ აქ კომკავშირულ ნომინკლატურაზე ზეგავლენის მოსახდენად იყენენ მოსულნი.

ჩვენი გვიგავთ, რომ კომკავშირის ლიკვიდაცია ხდება, — გვიტორებს სხვებმა, — ასე რომ, ჩვენი ორგანიზაციებისთვის აღვიღო-ს-ყოფილენ შესანიშნავად მოვედით. მაგრამ თუ კომკავშირი დარჩება, ჩვენ აქედან წავალთ. იმტომ, რომ ერთ შენობაში თავიშთ არსით ამორალურ კომკავშირთან ცხოვრება ჩვენ არ გვსურს.

ეს სიტყვები მათი მთქმელების სინდისზე დარჩეს...

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ არაფორმალებმა შენობა დატოვეს. რამდენიმე კაცი კომკავშირის ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად დარჩა.

ამ დროს ახალგაზრდადული ქალაქის საკონფერენციო დარბაზში სხვა მოვლენები ვითარდებოდა. საქმე ისაა, რომ ჩემი კიდევ ყრილობამდე ერთი თვით ადრე ახალგაზრდადული გახეთებში ორი პროექტი გამოქვეყნდა. პირველი — განახლებული კომკავშირის წესდებასა და პროგრამისა და მეორე — ახალი ორგანიზაციისა, რომელსაც პრინციპში არაფერი ჰქონდა საერთო ახალგაზრდადობის კომუნისტური კავშირთან. ერთი თვის წინათ მათი ყრილობაზე განხილვა იყო ნაგეარაუღვევი, მაგრამ პროგრამა გაირანტმა, დაბადებმა ვერ მოასწრო, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, უმალ განსჯენბას მიეცა.

ხაზი გაუსვავს რა საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირის (ასე უნდა რაქმელა განახლებული კომკავშირის) პრინციპულ განსხვავებას ალკ-საგან. პროექტის განხილვას ყრილობის ოფიციალური დახურვის შემდეგ შეუდგნენ. უნდა ვთქვათ, რომ ვერც განხილვა შედგა — ძალზე აფორიანებული იყო ყველა და ყველაფერი. აირჩიეს საინიციატივო ჯგუფი ახალი კავშირის შესაქმნელად. საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრობლემათა განყოფილების გამგემ ვ. დობოჯიანი იმეძე, რომელსაც კრება მიჰყავდა, თქვა, რომ ეს იქნება ყოველგვარი იდეოლოგიისაგან თავისუფალი არაპოლიტიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ის ჩაფიქრებულია როგორც მოძრაობა, რომელიც კარს გაუღებს ყველა ახალგაზრდადულ ჯგუფს, პარტიას, გაერთიანებას.

ამაზე მოუწიათ დებატების შეწყვეტა. მთელ ახალგაზრდადულ ქალაქში სინათლე გამოიროთ. ყრილობის ძლიერი შეთხლებულმა კონტრგენტმა მაჩაბლოს ქუჩაზე გადაიანაცვლა. აქ გვიან კრებას შემოერთდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის

პირველი მდივანი ს. ჯგერცინი. რომელმაც იმ დროისათვის ერთგორმალბთან დაასტყვეო მოლაპარაკება. საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში ყოფნის სურვილი მანაც გამოთქვა.

ამრიგად ისე, რომ პასუხი არ გაუცია არც ერთ სერიოზულ კითხვაზე, დასრულდა რეპუბლიკის კომკავშირის XXXIV ყრილობა, რომელმაც საკუთარ თავზე მოვლონიბად დატოვა ორი ჯგუფი: საინიციატივო — ახალი კავშირის შესაქმნელად და საკონფერენციო კომისია — ძველის თვითგამოსარყვევად. მათ ორი თვის მანძილზე უნდა იმტყმელონ. საქართველოს ყველა კომკავშირულ შესთავაზეს ამ დროს განმავლობაში გაერყვათ თავიანთი დამოკიდებულება ძველი და ახალი კავშირის ბედისადმი.

ყრილობამ თხოვნიით მიმართა რეპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, დახმარებოდა რეესტრაციაციაში ხელახლა გატარების შემდეგ გამოთავისუფლებული კომკავშირული კადრების შრომით მოწყობაში. მაგრამ თავად კადრებმა გადაწყვეტიეს: ჩვენი ამოცანაა, არ ველოლოთ მინისტრთა საბჭოს მოწყალებას... თითქმის მთელ სამუშაო დროს თათბირობენ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაკები. ჩერყობით ბევრი რამა გაურკვეველი; რა ერქმება ახალ კავშირს, როგორი რედაქციით იქნება ის მუხლი და ა. შ. მაგრამ ზოგი რამ მოკლებულ მანძე ვგავწყვა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ბარამიძემ:

ჩვენი გვეგმა, კომკავშირის ქონება გადაეცა საქართველოს თავისუფალი ახალგაზრდობის კავშირს, როგორც მას ახლა პირობითად უწოდებენ. მისი სტრუქტურა ისეთივე იქნება, როგორც კომკავშირისა, ანუ გვიანდა შევიზარჩუნეთ რაიკომები, საქალაქო და საოლქო კომიტეტები, და, რა თქმა უნდა, მართვის რეპუბლიკური ორგანო...

იქნებ იქნება ოპოზიციამ, როცა მანაბლის ქუჩაზე მდებარე სახლში თავისთვის იფულებდა ოთახებს? ჩემ არ შობოდა კავშირი უკვე პირტენზიას აცხადებს კომკავშირის მეგვიდრობაზე, ოლოდ არა იდეურ, არამედ ქონებრივ მემკვიდრეობაზე.

მაგრამ, ჩანს, სიტუაცია უკვე ირკვევა.

**წ. მიქელაძე, ა. შურასალიძვი**  
(ჩვენი ხვეციალური კორესპონდენტები)

თბილისი

**რადამსიონსება:** „კომსომოლსკია პრადამი“ სტატიის გამოქვეყნების დღესვე მოკაკიება ბატონმა ლაშა კიკაბიძისგან, ვის სიტყვებსაც ასეთი ენთუზიაზმით იმომეზენ ავტორები, და გვთხოვა ამ წერილის გამოქვეყნება.

## სწორედაც რომ ბოლო ყრილობა!!!

ამ სტატიის შემუშავებით, ერთი ძველი რუსული ანეგდოტი მახსენდება: გახეთის საყიდლად მისულ მოკალაქენ კიოსკდან პასუხობენ: «Правды нет, Россию продали, остался труд за 3 копейки!».

სიტუა და ტენდენციურობა რომ დიდი ხანია საქავშირო ტელევიზიისა და ცენტრალური პრესის მუშაობის წამყვან მეთოდად იქცა, ეს კარგად ვიცით, მაგრამ არ შეგონა, თუ სიტუებს დიდოსტანი საჯაროდ ნათქვამის გაკალებხასაც არ დაერიდებოდნენ.

კომკავშირის, სწორედაც რომ ბოლო, ყრილობაზე ჩემი გამოხვლა არაფრუ გაკალებული, არამედ სრულიად უცხო მოსაზრებებით იქნა შელამაზებული.

დაიან, როგორც ყრილობაზე აღვნიშნე, ახლაც მჭერა, რომ დაუშვებოდა არსებობდეს ერთგული კომკავშირი, რადგან, ვინც კომუნიზმის იდეოლოგიას იცნობს, კარგად უწყის, რომ მას საფუძვლად ხელოვნურად შეთითბნილი კონსოლიდირებული პოლიტიკური პოლიტიკიზმი და არა ინტერნაციონალიზმი ამიტომ კომკავშირელთა იმ ნაწილის გამოხვლა, რომელიც „ერთგული კომკავშირის“ შექმნის იდეას უწყებს პროპაგანდას, როგორი შორსგაშინებული პოლიტიკური ეკვილიბრისკაც არ უნდა იყოს ეს, შეიძლება ხალხის მოტუების კიდევ ერთ მცდელობად შევაფასოთ. ზუსტად ასევე ვთქვი ყრილობაზეც...

საკავშირო პრესაში გაკალებული ჩემი მოსაზრების გამო, კიდევ ერთხელ გავიმეორებ ყრილობაზე ნათქვამს: რატომ ემაზნ კომკავშირის პარტიის „რეზერვს“ და, საერთოდ, რას ნიშნავს პარტიის „რეზერვობა“? ეს კი გულისხმობს: კომკავშირი ზრდის მომავალ სახელმწიფო ფუნქციონერებს, რომლებმაც ქვეყანა უკვე მიუყვანეს კატასტროფამდე, რადგან საბჭოთა კავშირი ის უნიკალური იფენომენია, სადაც წარმოებებსა თუ უწყებებს მართავენ არა სპეციალისტები, არამედ პარტიული მუშაკები.

კომკავშირში წლების მანძილზე სპეციალისტი კარგავს კვალიფიკაციას, საამაგიროდ, იქნის ბიუროკრატის თვისებებს; შემდეგ იგი გადადის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ფუნქციონერს თუ უწყებებში ზემოდას ღებულობენ ჩამოყალიბებულ ფუნქციონერებს. დღეს, როცა წარმოების ახალ მეთოდებზე გადავდივართ, ან გვიანდა გადახვდები, მიმაჩნია, რომ კომკავშირმა სრულიად დაკარგა კარგი ბოზის აზრი და უფლება. აქედან გამომდინარე, საქავშირო კომკავშირში დარჩენის და მისი შენარჩუნების იდეა მე არ მეკუთვნის!

**პროტესტს ვუცხადებ გახეთ „კომსომოლსკია პრადანს“, თუმცა ვიცი, რომ რეატიი ქართველის პროტესტი იმპერიული პრესისათვის არაფერს ნიშნავს.**

## ლავა კიპაღეიშვილი, საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის პრეზიდენტი

როგორც დღისანეთ, პატრიცეპულო მეითველო, ავტორებს დაქტებისადმი „ორიგინალური“ დამოკიდებულება აქვთ. ამაზე იტყვიან, როგორც უნდათ ისე ზრინან და ისე კრავუნთ, თორავ რას უნდა დეაბრალოთ ტრიბუნიდან ნათქვამი სიტყვების ასეთი ტრანსფორმაცია სტატიაში? ქართულის არცოდნას? კი მაგრამ, სტატიის ერთ-ერთი ავტორი ნუგზარ მიქელაძე რომ ქართველია, ჩვენი თანამემამულე? თუ ეს სურვილის რეალობად წარმოსახვის მისწრაფებაა, რომელსაც ისინი სათაურშივე დაუფარავლ ამქლუნუნენ, როცა ეკვი შეაქვთ იმაში, რამიც დღეს საქართველოში არავის ეპარება ეკვი.

ისტორია განსჯის, — მოპყავთ ავტორებს კომკავშირის ერთ-ერთი ეკტრანის შესაძლოა გულწრფელად ნათქვამი სიტყვები და არ უნდა შეეფონ ის, რომ ისტორიამ უკვე განსაჯა და დღევანდელი დამ კი მკაცრი მსჯავრიც დასდო ათწლეულების განმავლობაში კომკავშირის ანტიკომუნურ საქმიანობას, და თუ დღეს მისი დახანვა ჩერ კიდევ არ უხდათ ზოგიერთებს, ამას შეუძლია ისტორიის ბუნებრივი განვითარების შეფერხება, მაგრამ შეჩერება — არავითარ შემთხვევაში.

ავტორების მახილ თვალს არ გამოეპარა, ერთი მხრივ, ქართველ და მეორეს მხრივ, აფხაზე და ოს ახალგაზრდობის შორის არსებული წინააღმდეგობა, თუმცა არ დაინტერესებულან რას ემყარება ეს წინააღმდეგობა, რა სარჩული უღვეს მას და ვის მერაა ის ინსპირირებული და რომ აქ კომკავშირი არაფერ შეუშია.

რომ შექმნან ობიექტურობისა და კრიტიკული პათოსის ილუზია, სტატიის ავტორები არც საქართველოს კმ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გივი გუმბარიძეს მოერიდნენ. სულ არ სჭირდება ბატონ გივის ჩვენი დაცვა, მაგრამ სწორედ ობიექტურობის გამო აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მისი გამოხვლა ყრილობაზე არ ყოფილა მხოლოდ რესპუბლიკის ხელმძღვანელის მიმართუა, როგორც ამას „კომსომოლსკელები“ აცხადებენ.


ავტორები არც ჩვენს „ჩანახევას“ მოერიდნენ სსრკ ხელმძღვანელობის წინაშე, როცა ასე ეფექტურად გაათამავეს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობის დასაყვება არაფორმალების მიერ, — შეხედოთ, როგორი უკონტროლო მოვლენები ხდებოდა საქართველოში. ესაა მხოლოდ, „წესრიგის დამყარების“ მიზნით დახმარება არ უთხოვიათ ცენტრისგან, მისივე ავტორიტეტის შელახვას მოუარინდენ, ალბათ.

ერთი სიტყვით **Правды нет.**





**ჩვენი გაზეთის მ მარტის ნომერი უკვე გამოქვეყნდა**  
**მასალეხი თბილისის საკათედრო ტაძრის არქიტექტურის**  
**საინჟინრო პროექტის შესახებ. ვინა ამჟამად ვთავაზობთ**  
**ახალგაზრდა არქიტექტორების მიერ წარმოდგენილ პროექტებს. კონკურსის შედეგად მომავალში კვლავ მოგიტყობრებათ.**




1) ბ. ჯურდინის პროექტი.

გამოთვანზე არქიტექტორმა პატარა ჯურდიანი წარმოადგინა იმპროვიზაცია თემზე „ქართული ქრისტიანული ტაძარი XX საუკუნის ბოლოს“. ეს არ არის კონკრეტული ტაძარი განკუთვნილი კონკრეტული ადგილისათვის, მისი დანა საკონკურსო დეკლარაციაში შემოთავაზებული ადგილზე, პირობითია.

ავტორს მიაჩნია, რომ მრავალი ფუნქციით ისედაც დატვირთული თბილისის ისტორიული ცენტრის მავიჯრად, ზეგრად მართებული იქნებოდა ახალი კათედრალური ტაძარი აგებულიყო ქალაქის ახალ უბანში, ვაკეში, საბურთალოზე,

რეგს განვლილი გზა ქრისტიანული სატაძრო მშენებლობისა ზოგადად და ქართულისა კერძოდ. თითქმის ორი ათასწლეულის განმავლობაში ტაძრის ფორმამ განიცადა ტრანსფორმაცია კატაკომბებიდან და ქაბულბიდან მშვენიერ ჯვარ-გუმბათოვან ეკლესიებამდე.

ისტორიული მსალოს გაანალიზებამ გამაბედვინა — წერს პატარა ჯურდიანი თავისი პროექტის განმარტებით ბარათში — გასახვავებული ფორმის მიცემა ტაძრისათვის, ამავე დროს ვეცადე შექმნარჩუნებინა ტრადიციულად ჩამოყალიბებული სივრცის დანა-



2) მ. სილაგაძის პროექტი.


დიდ დილოში და სხვაგან, სადაც არც ერთი ეკლესია არ გაგვჩნია. ამით თავიდან ავიცილებით ქალაქგეგმარებით სირთულეებსაც. კიდევ უფრო მიმზიდველად ეჩვენება მას ახალი ქრისტიანული ცენტრის დაარსება თბილისის სამხრეთით — რუსთავეს, გარდახნის, მარნეულის მიდამოებში.

უმთავრესი იდეა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ავტორი, მისი სიტყვით, არის შინაარსის უპირატესობა ფორმასთან. იგი თვლის, რომ მთავარი ნაკვების შინაარსობრივად ამართლებდეს თავის დანიშნულებას, ხოლო რა ფორმით იქნება ეს მიღწეული, არა აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა, დროთა განმავლობაში ფორმა შეიძლება შეიცვალოს, ამას ადასტუ-

წილება და სილუეტი. შენარჩუნებულია აგრეთვე ფორმის ერთიანობა და ლაკონურობა, რაც ასე დამახასიათებელია საუკუნეთსო ქართული ტაძრებისათვის.

საკათედრო ტაძრის ანსამბლისათვის, რომელშიც მონასტერიც შედის, არქიტექტორმა შექმნა ხელგაქმნი რიყეს ტერიტორია აირჩია, მისი აზრით, აქ უნდა გაშენდეს ბაღი, სიმბოლო იერუსალიმის მახლობლად არსებული გეთსიმანის ბაღისა, სადაც ქრისტეს უყვარდა განმარტობა, სადაც იუდაემ გასცა იგი.

მისი პროექტით საკათედრო ტაძარი პირამიდული ფორმისაა, რომელიც ბოლოვდება ტრადიციული ქართული ეკლესიის ფორმის მქონე გუმბათით. ამით, ავტორის აზრით, უნდა შეიქმნას შთაბეჭდილება გორაკზე აგებული ტაძ-




3) ს. ბენდიანისა და დ. ბუნტაძის პროექტი.

რის კომპოზიციისა, რაც ასე ხშირად გვხვდება საქართველოში. არქიტექტორებმა ზოხო ტვლიდან და დათო გუნდაცემ საკათედრო ტაძრის პროექტი ანსამბლის სახით ჩაიფიქრეს. ტაძარი გააზრებულია, როგორც წამყვანი ელემენტი ანსამბლისა, რომელშიც შედის მცირე ეკლესია, სათათლავე, სამრეკლო და კათალიკოს-პატრიარქის მცირე რეზიდენცია.

კომპლექსის არქიტექტურული სახე განსაზღვრულია ისტორიული ქართული საკულტო არქიტექტურის ფორმებით, რასაკვირველია, თანამედროვე კონსტრუქციული შესაძლებლობების გამოყენებით. ავტორთა გამოთქმით, მათი პროექტი ტრადიციული ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების რეინისციენციას წარმოადგენს.

არქიტექტორებმა ს. ზედგენიქმ, მ. გოჭაქემ, და ბ. პოპიაშვილმა დააგეგმარეს მრავალფუნქციური სატაძრო კომპლექსი, რომელიც ერთმანეთს უნდა შეერწყას სასულიერო, სამონასტრო და განმანათლებელი ცხოვრების ელემენტები. მრავალრიცხოვანი შილა ეზოები, ბაღები, დასასვენებელი კუთხეები, მღვიმეები, აუზები ენაწარებიან ბიბლიურ სიუჟეტებს, რელიგიურ ეპიზოდებს.

# საკათედრო ტაძრის კონკურსზე



4) ს. ზაღვენიძის, მ. გომიძის და ნ. კობიაშვილის პროექტი.

ჯვარცმული აგნაკების ჯვრები. ერთი სარკისებრი მინისაა, მეორე ქვეით არის შემოსილი. ქვის ჯვარში მოთავსებულია სამრეკლო. არქიტექტორ ქ. ლებანიძის მიერ შექმნილი ტაძრის ფორმის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ცაში ატყორცნილი ორი თაღოვანი ელემენტი, რომლებიც ერთმანეთში გადადის. დანალი თაღოვ-

პროექტის მთავარი ლერძია თავისებური გზა ტაძრისაკენ. პირველი ნაკვების არის ერთნაგვიანი ბაზილიკა, შემდეგ გავლივით მცირე ბაზილიკაში, რომლის სიმძვინველ ავტორთა აზრით, საშუალებას იძლევა გაამძაფროს მის შემდეგ მდებარე შილა ეზოს სივრცითი ფუნქტი, რომელიც წრიულია, კედლები მოხატული

თვით ტაძარი ავტორთა აზრით, უნდა იყოს თანამედროვე, ჩვენი დროის შესატყვისი ნაკვების — საეკლესიო კანონიკის გათვალისწინებით, ხალხის დიდი რაოდენობის განთავსების შესაძლებლობით. ეკლესიის გვერდს საუბრად უდევს წმინდა ნინოს ჯვარი. მზილი კონსტრუქციები, გადახურვის სისტემები, განათებისათვის დატვირთული ლიობებიც ნინოს ჯვარის მოხატულობისაა.

არქიტექტორ ბაღრი შიქაძის პროექტით წმინდა სამების საკათედრო ტაძარს აქვს გეომეტრიული სხეულის, — კუმის ფორმა, რომელშიც ჯვარგუმბათოვანი ინტერიერის მქონე ტაძარი განთავსებული.


ავტორის აზრით, კუმბრმა ფორმამ უნდა მოგვაცავოს ნოეს კოლონიის, თავისებური გეომეტრიული მეგობრობითაც გადაურჩა წარდგენის ნოე. მისი აზრით, ეს სიმბოლოური გეომეტრია ნაგებობაში მრავალფუნქციონალი ნავსადგურს — ცაში სასულიეროს.

ტაძარი განლაგებულია რიყის ტერიტორიაზე. იგი აგდება ბუნებრივი ქვით და მოპირკეთდება ლითონის ფურცლებით, რომელთა პრილა ზედპირი, არქიტექტორის აზრით, ხაზს გაუსვამს ტაძრის თანამედროვეობას. ინტერიერი ნათდება კუმის წიბოებზე მოწყობილი ვიტრაჟებით. შესასვლელი განთავსებულია ერთ-ერთ წიბოზე.

არქიტექტორმა ზაზა ჯანჯღავამ თავის პროექტს საფუძვლად დაუდო იესო ქრისტეს ჯვარცმა. გოლოთის მთა ნაკვების ძირითადი ტანია, ნახევარსფეროსებრი ფორმა აქვს და ტაძარი მასშია განთავსებული. ავტორის აზრით, იგი დედაშიწის სიმბოლოს წარმოადგენს. მთა დანაწევრებულია 33 საფეხურად, რაც გამოხატავს მაცხოვრის სიკეთის თვისობის 33 წლის განმავლობაში. 30-ე საფეხური, რომელსაც ეყრდნობა მაცხოვრის ჯვარი, ქრისტეს ნათობა, ხოლო ბოლო სამი საფეხური, რომელიც ჯვრის ფარგლებშია, ქრისტეს მსახურება.

ტაძრის გუმბათი წარმოადგენს მაცხოვრის ჯვარს, ქვეყნის ოთხი მხარის მიმართულს. ამავე დროს იგი ნინოს ჯვრის ფორმისაა. ავტორის აზრით ეს დასაშვებია, რადგან ქრისტიანული რწმენა და აქედან გამომდინარე თვით ქრისტი, ჩვენ წმინდა ნინოს საშუალებით მივიღეთ.


მაცხოვრის ჯვრის ორივე მხარეს გოლოთაზე მასთან ერთად



5) ბ. შიქაძის პროექტი.

ნი ელემენტი მოთავსდება ამოჭრილი წრით და იქნება მეორე სივრცე, რომელიც გადახურულია მაღალი თალით. ამ ორ თაღოვან ელემენტს შორის სივრცე გასწვრივია, საიდანაც ხდება ბუნებრივი განთავსება.

აქვს, მათ წინ სასაბურთალოა მოწყობილი. დია ეზოდან გზას მიყვართ გუმბათოვან სივრცისაკენ. „ტაძრის შუა ნაწილში დგანან მართალი, რომლებმაც მიიღეს ნათობა“, გვასწავლებს ავტორები. ზედა ნაწილი, ფუმბათი, რომელიც




6) ზ. ჯანჯღავამ პროექტი.

შენობის გეგმაზე იკითხება ჯვარი, რომლის ცენტრალურ ნაწილში განთავსებულია დარბაზი მლოცველთათვის. აღმოსავლეთით საკურთხევლოა, დასავლეთით — კარიბჭე. ჩრდილოეთით და სამხრეთით — მცირე სამლოცველოები.


არქიტექტორებმა ნ. კველიშვილმა, ე. გამრეკლიძემ, ნ. ქვარცხავამ თავის პროექტს საფუძვლად დაუდეს თეზისი — „ტაძრის შილა სივრცე თავისი არსით გამოხატავს ზეციურ სამყაროს, რომლისკენაც მისწრაფებენ მორწმუნენი, ამიტომ

ლიც წარმოადგენს ზეცის სიმბოლოს, მინისაა, ამიტომ, ავტორთა აზრით კვამირი ცისა და მიწის შორის ადვილად დამყარდება არქიტექტორი დავით აბულაძე ეყრდნობა ქართული საკულტო არქიტექტურის გამოცდილებას, რაც მისი აზრით გამოიხატება შემდეგში: ჩამოყალიბდა სიმბოლური მოცულობითი ელემენტები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე უცვლელი რჩებიან — გუმბათი, საკურთხევლო, სამრეკლო. ამიტომ, — წერს იგი, — ახალი ტაძრის ძირითადი ელემენტებია




7) X. ლაშინიძის პროექტი.

კასონოვასი  
B. HOO



8) B. კასონოვის, B. ბამრეაძისა და B. ქვარცხავას პროექტი.



9) D. ლაბიძის პროექტი.

გუმბათი, სამრეკლო, საკურთხევლის აბსიდა და მახრობელთა სახელზე ნაყურები მცირე სამლოცველოები — აფსიდების სახით.

ტაძრის მთავარი შესასვლელი ნაგებობის ძირითად მოცულობასთან ორგანულად შეერთებული სამრეკლოს ქვეშ მდებარეობს. სა-

მრეკლო გუმბათოვანია. აქ უნდ. მოეწყოს ორლანის ტიპის ზარების სისტემა, — აღნიშნავს ავტორი. ტაძარი მოპირკეთდება ქვით ბოლნისის ტუფის ორი ფერის მონაცვლით.

**ბიორკო ბარიეა,**  
არქიტექტორი, ქართული ხელოვნების ინტორის ინსტიტუტის თანამშრომელი.

**ახალგაზრდობა** ჩვენი ეროვნული მოძრაობის უმთავრესი და საყრდენი და მისი ძირითადი მდებარეობაა. ეს ახალგაზრდული მოძრაობაა. მაგრამ, მოლით, პირდაპირ ვილაპარაკოთ. გვიწინდებს, რომ თქვენთან პრეტენზიებიც გვაქვს და ეს სწორად უნდა გამოგონოთ. განათლების სისტემას რომ რეორგანიზაცია და გაუმჯობესება ხვდება, ეს ცხადია. ამისათვის ჩვენც ვიბრძობით და თქვენც უნდა იბრძოლოთ, მოსწავლე ახალგაზრდობამ. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ აკადემიური მოსწრება და სპეციალობის დაუფლება არანაყოფს სერიოზული, ვიდრე პოლიტიკურ მსაქმეობას მსგავსად. არ ჩათვალოთ ეს ტრადიციულ ტყუილს დარგებულ უფროსსაგან, თქვენზე ასაკით უფროსსაგან. მე ამას გეუბნებით როგორც ჩვენს უმცროს თანამებრძოლებს. გახსოვდეთ, ეროვნულ მოძრაობას სჭირდება ყოველმხრივ განათლებული, კულტურული ადამიანები. ეს არ უნდა იყოს მხოლოდ ხალხის მოძრაობა. ნუ გაგიტაცებთ სასწავლო დაწესებულებების ვაფიცვები. ჩვენ ისე არ გვაქვს საქმი, რომ თქვენს ხარჯზე გადავიაროთ ამან. მთელი მუშათა კლასი, მთელი გლეხობა, საზოგადოების ნებისმიერი ფენა ჩვენთანაა. რა სჭირს ჩვენს მოძრაობას ისეთი, რომ თქვენ ჩამოგარჩინოთ სწავლაში, რათა მიზანს მივაღწიოთ. ჩვენ მას ისედაც მივაღწევთ. ამიტომ, გთხოვთ, მაქსიმალურად მოეხერხეთ თვითონვე გაფიცვებს, უფრო მეტად ვიფიქროთ ცოდნის დაუფლებაზე. ისე არ გამოვიდეს, რომ ჩვენ, ეროვნულ მოძრაობას, დაგვებროლონ ახალგაზრდების მოწყვეტა სწავლისგან, შრომისგან და იფიქრონ, რომ ჩვენ ვართ უსაქმურთა და ზარბაცთა თავმჯდომარეები. მე ეს არაერთხელ განვიცხადე და ახლაც გიმეორებთ. თანაც ნახეთ, რა მძიმე მდგომარეობა გვაქვს ზნეობის თვალსაზრისით. ეს დასაძალი არაა. ამას არავისთან ვმალავ და არც თქვენ და ვამალავთ. ის, რაც ვერც აფხაზმა, ვერც ოსმა, ვერც თათარმა ვერ ვაგვიკეთა, ჩვენ ვუყვებით ერთმანეთს. რის ცხრა აბრით, მეგობრებო, რის თანხმებით იყლისი, რის სამაზალო, რის აფხაზეთი, რაც თბილისში დატრიალდა ამ ბოლო პერიოდში. ასევე მკვლელობა — ეს საშიშრეობაა. და აი, ამას უმთავრესად ახალგაზრდა ადამიანები სჩადიან. ჩვენ არ უნდა დაუშვათ მსგავსი შემთხვევები.

ამიტომ გადავწყვიტეთ: ასეთ დამანაშავეებს ერის მოლაღობად, ეროვნული მოძრაობის მოლაღობად გამოვაცხადებთ, რა ასათსაც არ უნდა იფიქროს ისინი და შევირისხავთ, როგორც ერის მოლაღობებს. სხვა გამოსავალი არ არის. თან იმის მონაცემებიც გვაქვს, რომ ყოველივე ამას ჩვენი მარადიული მოსისხლე მტერი ფარულად წარმართავს. მას ამის

საშუალებები აქვს, მაგრამ მაინც არ გვიტყობა თქვენი მოზარება პოლიტიკური თეორიების და პოლიტიკური დეკლარაციების შექმნაში. ამას ჩვენც ვაგვართვეთ თავს. მაგრამ მოლით, ზნეობის საკითხებში დაუუახლოვდეთ; უფრო მეტად დაუჭიროთ მხარი ერთმანეთს, რომ არ დაგვეტოვოს ეს. მეგობრებო, გაიცნობიერეთ — დაღუპვის გზაზე ვდგავართ! უცხო ერები ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებენ, მაგრამ თუ დაეცა ჩვენი ზნეობა, ყველაფერი დაკარგულია.

მე კიდევ ერთი რა მიზნა გიჩინოთ — რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად ჩაუბაოთ რელიგიური ცხოვრებაში. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ სწავლის პროცესი, პროგრამები, თვით განათლების სისტემა დაუფუძნოს რელიგიას, საღვთისმეტყველო მოძღვრებას. ღვთისმეტყველებისა და რელიგიის გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება. ეს კომუნისტებმა შემოიღეს ანტირელიგიური განათლება, რაც ფაქტობრივად დაზნეულებაა და არა განათლება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაფიცვებიც დაგვიტრდეს, მაგრამ ეს უნდა იყოს გამიზნული და ჩვენთან ერთად მოფიქრებული. ვიბრძობოთ იმისათვის, რომ ისწავლებოდეს ღვთისმეტყველება და უფრო მეტი რელიგიურობა იყოს ახალგაზრდობაში. აი, ეს დავიცავს, მეგობრებო. მოვიქცეთ რწმენაზე საქმით, პრაქტიკულად, ვინაიდან „სარწმუნოება იფიქრეთ სექტისას მედარ არს“, — როგორც არის ნათქვამი ბიბლიაში. აი, ეს არის ჩვენი სურვილები და, რასაკვირველია, მივსალმებით ამგვარ აქტივობას ყოველთვის.

უფრო მეტად უნდა მივხედოთ ზნეობას, ენას. რა მდგომარეობაა ამ შრი? რა ენაზე მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობა? ბევრმა დავიწყა წინაპრების ენა, წინაპრების

# ზვიად გამსახურდიას მოსწავლე ახალგაზრდობისადმი

**ახლა ბევრს დააბრალებენ მოსწავლე ახალგაზრდობის როლზე დღევანდელმაში.** ზოგს მიაჩნია, რომ აუცილებელია მათი პოლიტიკა, ზოგი თვლის, რომ მოსწავლემ მხოლოდ სკოლაში უნდა იაროს და ისწავლოს, ზოგი ვაფიცვებსა და მითინებს არჩევს. ბოლოსდაბოლოს რა უნდა აკეთოს მოსწავლემ? ამ საკითხის შესახებ, ვუქრობთ, ხანტერებს ოქნება ჩვენი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის **ზვიად გამსახურდიას** მოსაზრებები, რომელიც აწას წინათ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ მოსწავლეთა კონფერენციაზე გამოთქვა.

სარწმუნოება და ისე მეტყველებს, რომ ყურით აღარ მოისმინება. პირველ რიგში, აი, ამას უნდა ვებრძოლოთ, მეგობრებო, და მერე ვიმსჯელოთ მაღალ მატერიალურ და დიდ პოლიტიკურ საკითხებზე, მერე ვავარჩიოთ მსოფლიო პოლიტიკის, თუნდაც შიდა პოლიტიკის საკითხები. მეტყველება სულის ანარქლია, ის სულის გამოხატულებაა. შეძრული ვარ, ისეთი სიტყვები მესმის სკოლებში, ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ყოველივე ამას, თუ გვსურს, რომ მართლაც ვიბრძოლოთ დამოუკიდებლობისათვის. ჩვენი ერთ-ერთი გამოწვევაა ვახლბა დამოუკიდებელი, თუ ეს ზნეობრივად არ ამაღლება, რელიგიურად არ ამაღლება, სარწმუნოებრივად არ ამაღლება. ეს უნდა გვახსოვდეს, რამეთუ ისტორიამ იცის სასჯელი. მე მართლაც დავით გურამიშვილს ვაფასებებ, როგორ უკავშირებს ის საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას, მის უბედურებას, რელიგიის დაკარგვას და ზნეობრივ დაცემას. რაც შეეხება კომპიუტერს, იმ შემთხვევაში თუ იგი გაუქმდება, არ უნდა შეიქმნას მისი სუროგატი, ახალი ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც ბავშვებს კვლავ პოლიტიკაში ჩაითრევს. ასეთი ორგანიზაცია ეროვნული იდეოლოგიითაც რომ გამოდიოდეს, ჩვენ მაინც შევებრძობებით მას. უნდა მოხდეს სკოლების დედუქოლოგიზაცია და დეპოლიტიკაცია. ვიმეორებ — სწავლა თქვენი პოლიტიკა.

გთხოვთ, რომ ვიბრძოლოთ უფრო პრაქტიკული საქმეების მოსაგვარებლად, მოვუწოდოთ ჩვენს მეგობრებს, ნაცნობებს, ყველას მოვუწოდოთ, რომ აღარ მოხდეს ჩვენი თბილისში, საქართველოში, ისეთი მასინჯი მოვლენები, რომლებმაც ჩვენს ახალგაზრდობას სახელი გაუტეხა. აი, ეს არის ჩემი უპირველესი სურვილი და სათხოვარი.

შეკიდეთ ერთი რა მიზნა გიჩინოთ — რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად ჩაუბაოთ რელიგიური ცხოვრებაში. ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებით, რომ სწავლის პროცესი, პროგრამები, თვით განათლების სისტემა დაუფუძნოს რელიგიას, საღვთისმეტყველო მოძღვრებას. ღვთისმეტყველებისა და რელიგიის გარეშე არ არსებობს არავითარი განათლება. ეს კომუნისტებმა შემოიღეს ანტირელიგიური განათლება, რაც ფაქტობრივად დაზნეულებაა და არა განათლება. ამ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება გაფიცვებიც დაგვიტრდეს, მაგრამ ეს უნდა იყოს გამიზნული და ჩვენთან ერთად მოფიქრებული. ვიბრძობოთ იმისათვის, რომ ისწავლებოდეს ღვთისმეტყველება და უფრო მეტი რელიგიურობა იყოს ახალგაზრდობაში. აი, ეს დავიცავს, მეგობრებო. მოვიქცეთ რწმენაზე საქმით, პრაქტიკულად, ვინაიდან „სარწმუნოება იფიქრეთ სექტისას მედარ არს“, — როგორც არის ნათქვამი ბიბლიაში. აი, ეს არის ჩვენი სურვილები და, რასაკვირველია, მივსალმებით ამგვარ აქტივობას ყოველთვის.

უფრო მეტად უნდა მივხედოთ ზნეობას, ენას. რა მდგომარეობაა ამ შრი? რა ენაზე მეტყველებს ჩვენი ახალგაზრდობა? ბევრმა დავიწყა წინაპრების ენა, წინაპრების

## ბაბა უნდა მისი მუსიკაზე შექმნილი გაღობის პრემიერა ახსტმრეაში

**ბაბა, 26 მარტი.** საქდისის კორესპონდენტი ს. მელონივი გვიცხობინებს: ამსტრდამის მუსიკალურ თეატრში — პოლანდიის დედაქალაქის უდიდეს საკონცერტო დარბაზში — გაიმართა ქართული კომპოზიტორის ვია ყანჩელის მუსიკაზე შექმნილი ბალეტის „მთავარანგელოსის“ პრემიერა. სპექტაკლი დადგა ნიდერლანდის ეროვნული ბალეტის მთავარმა ბალეტმისტერმა რუდი ვან დანტიცმა.

„მთავარანგელოზში“ სრულდება ვია ყანჩელის მეოთხე სიმფონია, რომელშიც 1976 წელს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია ღირსშესაძრია, პოლანდიელ ბალეტმისტერს შეთხვევით არ აურჩევია მუსიკა ბალეტისათვის. თავის დროზე ამერიკელი კრიტიკოსი ჯეიმს ფელტონი მეოთხე სიმფონიას, რომელსაც აგრეთვე „მი-

ქლანჯელის ხსოვნას“ უწოდებენ, მოახსენიებდა როგორც დასავლეთში ოდესმე შესრულებული საბჭოთა მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე გაბეღულ ახალ ნაწარმოებს.

„ჩემთვის, როგორც მუსიკის ავტორისათვის, რა თქმა უნდა, არსებობს მეოთხე სიმფონიასთან დაკავშირებული საკუთარი სახეები, — უთხრა საქდისის კორესპონდენტს ვია ყანჩელმა. — კარგია, როცა ერთმანეთს ემთხვევა საკუთარი გრობები და იმ ადამიანის გრობებში, რომელიც სხვა ქვეანაში ცხოვრობს და მისთვის უცხო მუსიკაზე ქმნის ბალეტს. ეს სახეებით შეძლო „მთავარანგელოზში“ რუდი ვან დანტიცმა. ნამდვილი კმაყოფილება მაგრძობინა პოლანდიელ მოცეკვავეთა მიერ ბალეტის ბრწყინვალე შესრულებამ, რუდი ვან დანტიცის ხე-

ლოვნებამ, რომელმაც შეძლო გამოეცა სპექტაკლში ჩემთვის ახლობელი შეგრძობანი.

ბალეტ „მთავარანგელოსის“ ძალიან შეფასება მისცეს პოლანდიელმა რეცენზენტებმა. როგორც განხილთ „ფოლქსკრანტი“ წერდა, ვია ყანჩელის მუსიკის ვერ მიაკუთვნებ ვერც ერთ ცნობილ მხარითულებას ან მიმდინარეობას. სტილის თვისთაველობა აიხსნება იმით, რომ კომპოზიტორი განუკუთვნებდა სხვა კულტურულ ტრადიციას, აიხსნება მისი მხატვრული აზროვნების დამოუკიდებლობით.

სამი თვის განმავლობაში ვია ყანჩელის მუსიკაზე დადგმულ „მთავარანგელოსს“ ნიდერლანდის ეროვნული ბალეტი შეასრულებს პოლანდიის მრავალ ქალაქში. შემდეგ მის პრემიერას მოელოან მბურგსა და ლიუსელორფში.



**ახალი გამოცემების პირველი პროექტია**

ამ დღეებში წიგნის მალაზიებმა კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიიღეს — პლაკატ-კალენდარი „წიგნების ბიჭი დაბადებული...“ რომელიც საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების გამომცემლობამ „კიდევატ დიზარდებთან“ დასტავა. იმ მრავალრიცხოვან კალენდრებს შორის რომელთა უმეტესობა მართლაც გამოირჩევა დახვეწილი გემოვნებითა და შესრულების მანერით, ერთ-ერთი პირველი ადგილი ამ პლაკატ-კალენდარსაც უნდა მივაკუთვნოთ.

საქართველო ღვთისმშობლის წილი ქვეყანაა, კალენდარზე სწორედ ღვთისმშობელია გამოსახული ყრბით ხელში, თავზე ოქროსფერი შარავანდელი რომ აღვას.

ქვემოთ ქართული სახელების დემოგრაფიული რუკა შედგენილი. პლაკატ-კალენდარის კალენდრის პრეტენზია აქვს — ლურჯი ფერით არის აღნიშნული საქვლის დღეები. ამ პლაკატ-კალენდარის გამომცემი გარკვეული წვლილი შეიტანა ოფიცირული ბეჭდვის ფაბრიკის დირექციამ (დირექტორი რ. ცხვარაძე), გამომცემლობის რედაქტორია ჯ. გოგეშვილი, მხატვარი დ. ბერძენიშვილი. ტირაჟი 10000 ცალი. ეს პლაკატ-კალენდარი გამომცემლობის „კიდევატ დიზარდებთან“ პირველი პროექტია, რომელიც ამართლებს ამ გამომცემლობის სახელწოდებას.

საქართველოს იტვირთვა.

**შვიდი ნაგება, ერთი გაგარჯობა**

გასვლით თამაშებში წარუმატებლობის შემდეგ თბილისის „დინამოს“ სატურნირო მდგომარეობა თითქმის გამოუვალი შეიქმნა. თბილისელებმა მარცხი იწვინეს „ბურღუღელებთან“ — 119:87, 103:95, „მანკორთან“ — 106:86, 122:98 და ალმა-ათის სკასთან — 93:68, 110:57. თბილისელთა მეტოქეებს არც ერთ მატჩში ასზე მეტი ქულის ალბა არ გაჭირვებიათ. დაცვაში ასეთი სუსტი თამაშის შემდეგ, ბუნებრივია, ძალზე ძნელია გამარჯვებაზე ფიქრი. ამ ექვს მატჩში „დინამოს“ პასივმა 152 ქულას მიაღწია (საშუალოდ ერთ მატჩში 25 ქულა) უშუალო კონკურენტთან და აუტსაიდერთან დონეცკის „შახტიორთან“ ორი მატჩის წიაღზე 44 ქულით დამაფრთხილებელი უნდა იყოს, ხოლო ალმა-ათის სკასთან 53 ქულით წაგება მეტისტეტი ხომ არაა? შაბათ-კვირას თბილისის „დინამომ“ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი გამართა ტალიხის „კალევთან“. სიძარტლე გითხრათ ამ მატჩის შედეგის მიმართ რაიმე ილუზიას არ ვქმნიდით. „კალევი“ ბრინჯაოს მედლებსათვის იბრძვის და კომპრომიზულ განწყობას არ იჩენდა, ესტონელთა უპირატესობა თავიდანვე ამკარა შეიქმნა. ამ ვითარებით გულმოდკოდ უნებლიედ წარსული გამახსენდა და ნოსტალიგა მომეძალა. თბილისის „დინამოს“ და „კალევის“ შეხვედრა ყოველთვის იყო საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ულამაზესი მატჩი, რომელსაც უხაკვებმატი ყურნალისტები „აკადემიკოსებისა“ და „პროფსორების“ მატჩის სახელით ნათლავდნენ, ეს მატჩები მესხიერებას შემოირჩა, როგორც ახრიახი ტექნიკური კალთბურთის ნამდვილი ზემო. მოედანზე ბრწყინვალე საკალთბურთო სპექტაკლს

დგამდნენ: ზურაბ საკანდელიძე, მიხეილ ქორქია, ვალერი ალთაბაევი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ანირან სხიერელი, ლევან ინწკორავილი, ლევან მოსეშვილი, ალექსანდრე კილაძე, გურამ მინაშვილი, პრიტ ტომასონი, იაკ ლიპსო, ალექსანდრე ტამისტი, ანატოლი კრიკური, იაკ სალუმეძისი. უნარიანად ხელმძღვანელობდა გუნდს ჩინებული ტაქტიკოსი და სტრატეგი ილმარ კულამი (50-იანი წლების თაობა მე არ მახსოვს). რალა დაგვიმართო და წარსულით გატაცებულს ძალზე გამოიჭირდა „წარე სინამდვილეს“ დავბრუნებოდი. შეიძლება ითქვას, რომ „კალევს“ გამარჯვება პირველი ტაიმის მეორე ექვს არ იყევდა. მასპინძლები ძალზე სუსტად თამაშობდნენ როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში (პირველ ტაიმში მოგროვებულ 28 ქულა ამის ნათელი ილუსტრაციაა). ტაიმი „კალევმა“ 23 ქულით მოიგო — 51:28. მასპინძლები მეორე ტაიმში ოდნავ გამოცოცხლდნენ და ცოტათი შესძლეს ანგარიშის შემცირება — 91:76.

მეორე მატჩში „დინამომ“ რის ვაი-ნაჩრობით შესწლო რევანშის აღება, რასაც სტუმრების კომპრომიზულ განწყობილებას ვერ მივაწვრთ და, ჩვენი აზრით, უპირატესად საკუთარი კედლების ფაქტორით აისხნება — 76:74 გამარჯვა „დინამომ“. რამდენიც არ უნდა ვითარდებოდა თაერი, ფაქტია, რომ თბილისის „დინამოსთან“ შეხვედრა სამამულო კალთბურთის ლიდერებისათვის იყო გასიჯინება, მაგრამ ფაქტია, თბილისის „დინამომ“ ქულების დამრიგებლების მიყვანის საქმე. უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება სხვისი სახვეწარო გვაქვს.

შერაბ კალანდაძე

ნიკანასალის და სპორტის საქართველოს რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდი ულუცავს ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებას.

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის დღეს — 30 მარტი, თბილისის „თბილისს“ და ფოთის „კოლხეთს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მოხაწილობით, სტადიონზე დადგმული იქნება სპეციალური ყულაბები და სტადიონზე მოსულ ყველა გულშემატკივარს შესაძლებლობა ექნება თავისი პირადი წვლილი

**ახლანახან** დამთავრდა თბილისის პირველი ღია პირველობა კარატეში, რომელშიც მოხაწილეთბიზენ საქართველოს ნაკრების წარმომადგენლები.

ამ შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ზეზვა ქერაშვილი, I ადგილი მიიძე წოხაში დიკა დიმიტრი მოდებაძემ, ხოლო მეორე საპრიზო ადგილი — ვაჟა თუშმალიშვილმა.

ეს ახალგაზრდები ვარჯიშობენ სპორტულ-გამაჯანსაღებელ კლუბ „ორბში“, რომელიც თბილისში ჩამოაყალიბეს კონტაქტანი კარატეს „კიოკუშის“ სტილით ვარჯიშის მოყვარულებმა.

კლუბის წევრებმა, რომლის სულსწამდგელია უფროსი მასწავლებელი გურამ ბარაბაძე, თავისი ძალებით ბევრი რამ გააკეთეს უკვე. კეთილმოწყვეს სავა-

**ფეხბურთის გულშემატკივართა საყურადღებო შეიტანოს ფონდის ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების საქმეში.**

ფონდის სასარგებლოდ შემოწირული თანხა მონაარდება რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების,

სპორტის ვეტერანებისა და პერსპექტიული სპორტსმენების დახმარების, ერის გაჯანსაღების კეთილშობილურ საქმეს.

ფონდის მზრუნველთა სახელით.

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში**

**1990 წლის 9 აპრილის**

**საქართველოში გლობის დღედ გამოცხადების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად 1989 წლის 9 აპრილს თბილისში ტრადიციულად დადგმულთა ხსოვნის აღსანიშნავად ფართო საზოგადოებრივი სურვილისა და თხოვნის გათვალისწინებით 1990 წლის 9 აპრილი საქართველოში ცხადდება გლობის დღედ.

ამ დღეს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დადგმულ ხსოვნის აღსანიშნავად დაწინაურდა დასახარების ხანძრები, გაუქმდეს გასართობი ღონისძიებანი, მოეწეოს რადიოსა და ტელევიზიის შესაბამისი პროგრამები.

**თბილისის სპორტის სახსლზე 1-5 აპრილს**

**მინიფეხბურთის გავრცელება (1978 წ.) ტურნირი „მოგაველის პარაკლავაში“**

**ტურნირის ორგანიზატორი საზოგადოებრივი კლუბი „მრატავი“**

**მონაწილეობანი:** თბილისის საფეხბურთო კოლეგის გუნდები: „მამული“, „მარტვი“, „ლილე“, „ვაჯა“, „იბერი“, „მიმიონ“, „მერცხალი“, „ჯორჯია“.

სპონსორები: ს/გ „ორიონი“, სსგ „თავთავეის“ სამშენებლო-სარემონტო სამმართველო, უქსოვადი საფეხბურთო კსოვილებისა და ნაწარმის ფაბრიკა, № 12 ხიდშემტრესტის მექანიზებულ სამუშაოების სამმართველო, ლენინის რ-ნის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტი, გლდანის შემსახველი ბანკი № 8323, ტრესტ „თბილშენის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველო № 7.

**დასაწყისი: 1 აპრილს 15 საათზე; 2-3 აპრილს 18 საათზე, 4-5 აპრილს 19 საათზე.**

**ბილეთები გაიყიდება სპორტის სახლის ხალარობში 1-5 პრილს.**

---

**კავშირგაბმულობის თბილისის № 85 საშუალო პროფესიული ტექნიკური სასწავლებელი**

**აცხადებს**

საშუალო განათლების მქონე, საბჭოთა არმიის რიგებოდეან დემობილიზებული ახალგაზრდების მიღებას შეკაბეულ-მხრიაღავის სპეციალობაზე.

სწავლის ვადა 6 თვეა, სტაჟენდია 130 მანუტი. საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს ღამაბრებით მიეცემათ გამომუშავებული თანხის 50%, ფრიადოსნები მიიღებენ 25%-ით ვადიდებულ სტიპენდიას.

სასწავლებელში ჩარიცხვა წარმოებს საკონკურსო შერჩევით. რაიონებიდან მოვლენილმა ახალგაზრდებმა უნდა წარმოადგინონ მომართვა შესაბამისი რაიონული სატელეფონო კანშიდან, ხოლო თბილისელებმა — თბილისის სატელეფონო კანშიდან. კურსდამთავრებულები სამუშაოდ გაიგზავნებიან კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით, სარაც მათთვის შექმნილი იქნება მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები მალაი ანაზღაურებით. სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად.

სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების ატესტატი
2. დაბადების მოწმობა
3. პასპორტი
4. სამხედრო ბილეთი
5. მომართვა რაიონული სატელეფონო კანშიდან
6. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან

---

**7. განმრთელობის ცნობა ფორმა № 286**

**8. ფოტოსურათი 4 ც. 3X4-ზე**

**9. შრომის წიგნაკი**

საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 9 სთ-დან 16 სთ-მდე. სწავლა დაიწყება 1990 წლის 16 აპრილს. დაბრუნებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწავლებელს: დირექციის მისამართ: **380014, ბეგრეთის ქ. № 8. ტელეფონები: 72-44-44, 72-85-85, 72-43-13. ტრანსპორტი კოლმეურნების მოედნიდან ავტობუსი № 16, 28, 89, ვაჯლის მოედნიდან ავტობუსი № 164. გაჩერება „ორთაქალაქისა“.**

---

სასწავლებლის დირექცია

რედაქტორი **მერაბ ბალარჯიშვილი**